ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა #81/3

ქ. მცხეთა

09 ნოემბერი 2016 წელი

ერთის მხრივ, თვითმმართველ თემის „მცხეთის მუნიციპალიტეტის" კეთილმოწყობის სამსახური, შემდგომში „შემსყიდველი", წარმოდგენილი დირექტორის გიორგი თალაშვილის სახით და მეორეს მხრივ, შპს „მაკა" შემდგომში „მიმწოდებელი", წარმოდგენილი დირექტორის კახაბერ დუღაშვილის სახით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1. ტექნიკური მარილის (CPV 34927100) შესყიდვა.

2. საქონლის მიწოდების ვადა და ღირებულება

2.1 საქონლის მიწოდების ვადაა 2016 წლის 12 ნოემბრის ჩათვლით.

2.2 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **2450 (ორი ათას ოთხას ორმოცდაათი)** ლარს.

3. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

3.1 შესყიდვის ობიექტი ან მისი ნაწილი მიწოდებულად ჩაითვლება მიმწოდებლის მიერ, მიღება-ჩაბარების აქტზე მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ორმხრივი ხელმოწერის შემდეგ. მიწოდებული საქონლის მიღებას შემსყიდველის მხრიდან აწარმოებს ააიპ თვითმმართველ თემის „მცხეთის მუნიციპალიტეტის" კეთილმოწყობის სამსახურის საწყობის გამგე მალხაზ კახობერაშვილი.

3.2 მიღება-ჩაბარების აქტის გასაფორმებლად მიმწოდებელი ვალდებულია წარუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გამოწერილი სასაქონლო ზედნადები.

4. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

4.1 მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით;

4.2 ანგარიშსწორება განხორციელდება შემსყიდველის მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში;

4.3 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია, წინააღმდეგ შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს უარი თქვას ანგარიშსწორებაზე;

5 მხარეთა უფლება – მოვალეობები

5.1 „მომწოდებელი" კისრულობს ვალდებულებას:

5.1.1 მიაწოდოს მაღალი ხარისხის საქონელი ხელშეკრულებით ნაკისრ ვადებში.

5.2 „შემსყიდველი" კისრულობს ვალდებულებას:

5.2.2 უზრუნველყოს თანხის ჩარიცხვა გაწეული მომსახურების მიხედვით.

6. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

6.1 თუ „მომწოდებელი" არ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს, „შემსყიდველი" წერილობითი ფორმით აფრთხილებს დაიცვას ხელშეკრულების პირობები.

6.2 ვალდებულების კვლავ შეუსრულებლობის შემთხვევაში „შემსყიდველს" უფლება აქვს განიხილოს ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის საკითხი.

6.3 შესყიდვის არაჯეროვნად ან არშესრულების და ვადაგადაცილების შემთხვევაში „შემსყიდველი" უფლებამოსილია „მომწოდებელს" არ აუნაზღაუროს მისაწოდებელი საქონლის ღირებულება და დააკისროს პირგასამტეხლო მისაწოდებელი საქონლის ღირებულების 0.1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

7. ხელშეკრულების ძალაში შესვლა

7.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან.

8. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

8.1 ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ფასები და უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. ფორს – მაჟორი

9.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შესრულებაზე, თუ ეს შესრულება გამოწვეულია ისეთი გარემოებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალოდ ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

10.1 წამოჭრილი დავები ან აზრთა სხადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

10.2 თუ „მიმწოდებელი" და „შემსყიდველი" მოლაპარაკების დაწყებიდან 10 დღის განმავლობაში ვერ შესძლებენ მოლაპარაკების საფუძველზე გადაწყვიტონ დავა, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11. სხვა პირობები

11.1 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი საკითხები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

11.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის თანხმობის გარეშე.

11.3 ხელშეკრულება დგება ქართულ ენაზე. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

12.ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა 2016 წლის 15დეკემბრამდე.

13. მხარეთა რეკვიზიტები

"შემსყიდველი"	„მომწოდებელი"
თვითმმართველ თემის მცხეთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური	შპს „მაკა"
ბანკი: სახელმწიფო ხაზინა	ს/კ 406173858
ს/კ 436036255	ა/ა GE45LB0113154421141000
	ბანკი: ლიბერთი ბანკი
	ბ/კ LBRTGE22
დირექტორი: გ.თალაშვილი	დირექტორი: კ.დუღაშვილი

ქ.მცხეთა 09 ნოემბერი 2016წ.

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ვადასტურებ, რომ ააიპ თვითმმართველ თემის მცხეთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახურსა და შპს "მაკა" შორის 2016 წლის 09 ნოემბერს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით გაფორმებული N 81 ხელშეკრულებით ჩემი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის I თავის მე-8 მუხლით გათვალისწინებულ პირობებს.

თვითმმართველ თემის მცხეთის მუნიციპალიტეტის
კეთილმოწყობის სამსახურის დირექტორი: გ.თალაქვილი

43603625 5

თვითმმართველ თემის მცხეთის მუნიციპალიტეტის
კეთილმოწყობის სამსახურის საწყობის გამგე: მ. კახობერაშვილი